კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1931 წლის დეკემბრის 15.	№ 23 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმეთა მმართველ- ლობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 249. „საყოფაცხოვრებო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოსაწყობად კოლექტიური მეურნეობების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფონდების სახსართა ხარჯვის წესის თაობაზე„ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 250. 1932 წელს მუშა-ძალით სახალხო მეურნეობის მომარაგების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

„ 251. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო-კოოპერატიულ და კულტურულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ოპერატიული ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოწმებელი კომისიისა.

„ 252. „შეშა-ხეტყის დამზადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 21-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

„ 253. „მასლოტრესტ“-ისა, „სვინოვოდ“-ისა და „ოვცევოდ“ის საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ზამთრის პერიოდში საქონლის სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ.

„ 254. მაგარი და კონცენტრირებული საკვებით „მასლოტრესტ“-ისა, „სვინოვოდ“-ისა და „ოვცევოდ“-ის საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის შესახებ.

„ 255. ა/კსფსრ-ში შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

249. „საყოფაცხოვრებო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოსაწყობად კოლექტიური მეურნეობების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფონდების სახსართა ხარჯვის წესის თაობაზე“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. 1930 წ. ნოემბრის 21-ს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დროებითი დებულების“ მე-IV მუხლის „თ“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 221) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(IV. სასოფლო საბჭოს დაეკისრება: . . . .)

„თ) დაამტკიცოს კოლექტიური მეურნეობების წევრთა საერთო კრების დადგენილებანი საყოფაცხოვრებო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოსაწყობად და შესანახად კოლექტიური მეურნეობების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფონდების ხარჯვის გეგმები და განკარგოს სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში აღნიშნული ფონდებიდან ანარიცხების სახით შესული სახსარი“.

II. 1930 წლის მარტის 15-ს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ „ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების დებულებაში“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 72):

„ა) ამერიკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკზე და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებზე მინიშნება შეიცვალოს მინიშნებით სახელმწიფო ბანკის ამერიკავკასიის სამხარეო და რესპუბლიკანურ კონტორებზე—კუთვნილებასამგრ;

ბ) მე-2 და 3 მუხლებიდან ამოიშალოს „ა“ ლიტერების 1-ლი პუნქტები;

გ) მე-6 მუხლის სიტყვები „განსაკუთრებული ბალანსით“ შეიცვალოს სიტყვით „ცალკე“.

ამერიკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამერიკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

250. 1932 წელს მუშა-ძალით სახალხო მეურნეობის მომარაგების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

აღნიშნავს-რა მთელ რიგ ნაკლოვანებათა მუშა-ძალით სახალხო მეურნეობის მომარაგების საქმეში, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამეურნეო ორგანოებისა, შრომის ორგანოებისა და საკოლმეურნეო სისტემის მუშაობა სახალხო მეურნეობის მუშა-ძალის ორგანიზაციულად მოგროვებისათვის სათანადოდ არ არის გარდაქმნილი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, იმ მიზნით, რათა შეიქმნას საჭირო პირობები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის მუშა-ძალით გეგმაშეწონილი მომარაგებისათვის და თავიდან აცილებულ იქნეს ამ სფეროში გამომეღავნებული ნაკლოვანებანი,—ადგენს:

1. დაეკალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს წარმოადგინონ, არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 1-სა, ა/კსფსრ-ში არსებული მუშა-ძალის ჯუმლობითი ბალანსი რესპუბლიკანური ხაზით.

2. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და შრომის სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ და წარადგინონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში, არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 20-სა, მუშა-ძალის ბალანსი დარგობითი ხაზით.

3. დაეკალოს ამა თუ იმ რაიონის ტერიტორიაზე მყოფ ყველა საწარმოსი, საშენებლისა, საბჭოთა მეურნეობისა, კოლექტიური მეურნეობისა და სხვა დაწესებულების ხელმძღვანელს, მისი პირადი პასუხისმგებლობით, წარადგინოს, არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 1-სა, სარაიონო აღმასკრულებელ კომიტეტში 1932 წელს საჭირო მუშა-ძალის და ამ საჭიროების დაკმაყოფილების გეგმა კვარტალური ხაზით, ხოლო სასეზონო დარგებისათვის თვეობითი ხაზით.

სარაიონო საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილები შეადგენენ 1932 წელს საჭირო მუშა-ძალისა და ამ საჭიროების დაკმაყოფილების ჯუმლობითის გეგმას და წარადგენენ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და შრომის სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 10-სა.

4. დაეკალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საკოლმეურნეო ცენტრებს, სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს, აგრეთვე ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ საერთო-საკავშირო, ფედერატიულ და რესპუბლიკანურ საწარმოთ, დაწესებულებათ, საშენებელთ და სხვ., რომელნიც არ შედიან ზემოაღნიშნული სახალხო კომისარიატებისა და უწყებების სისტემაში, წარადგინონ რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებში და შრომის სახალხო კომისარიატებში—კუთვნილებისამებრ—ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, არა უგვიანეს 1932 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის 10-სა, საჭირო მუშა-მოსამსახურეთა და ამ საჭიროების დაკმაყოფილების დამუშავებული გეგმები რაიონობითი და დარგობითი ხაზით.

5. დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და ამიერკავკასიის სხვა უწყებათ—წარუდგინონ, არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 20-სა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში საჭირო მუშა-ძალის და ამ საჭიროების დაკმაყოფილების გეგმის ჯუმლობითი ბალანსები რესპუბლიკანური ხაზით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1932 წ. მუშა-ძალის ბალანსის წარმადგენასთან ერთად, იმავე დროს წარმოადგინოს პროექტი დადგენილებისა—მუშა-ძალის მოგროვების გაუმჯობესების და ამ მუშა-ძალის დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ—და აგრეთვე 1932 წლისათვის კადრების მომზადების გეგმა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. დეკემბრის 1.
427.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 327 №-ში 1931 წ. დეკემბრის 6-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

251. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო-კოოპერატიულ და კულტურულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ოპერატიული ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

იმის მიხედვით, რომ ხუთწლიანი გეგმა წარმატებით იქნეს განხორციელებულ როგორც მთლად სსრკ-ში, ისე ა/კსფსრ-ში, რომ აუცილებელია ახალი სახით მუშაობა და ხელმძღვანელობა სოციალისტური მშენებლობისათვის, რომ საჭიროა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელი როლის შემდგომი გაძლიერება, ისე ამ ფედერაციის შემადგენელი რესპუბლიკების ორგანოების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის ფართოდ გაშლა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე საწარმოთა ხაზით:

1. ამიერკავკასიის ცემენტის ქარხნების სარაიონო სამმართველო გადაკეთებულ იქნეს ამიერკავკასიის ცემენტის ტრესტად („ზაკცემენტ“) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემაში, რომელსაც წინადადება მიეცეს სასწრაფოდ მოახდინოს ეს რეორგანიზაცია.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გამოჰყოს „ზაკმინერალრუდ“-ის ტრესტის შედგენილობიდან ნახიჩევანისა და ბაქოს მარილის საწარმონი და გადასცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოაწყოს ტრესტი „ზაკხიმსტროი“—ქიმიური ქარხნების მშენებლობისათვის და გადასცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს: სომხეთის სსრ-სას—ერევანის კარბიდის ქარხანა და აზერბაიჯანის სსრ-სას—ზაგლიკის შაბის ქარხანა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს „ზაკშელკრომ“-ის ტრესტის ლიკვიდაცია, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა—მოაწყონ აბრეშუმის მრეწველობის ტრესტები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სისტემაში.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს „ზაკხლოპბუმტრესტ“-ის ლიკვიდაცია, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მოაწყონ რესპუბლიკანური საბამბე ტრესტები.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს „ზაკშრესტ“-ის ლიკვიდაცია, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მოაწყონ რესპუბლიკანური ტრესტები.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს ამიერკავკასიის ტრესტის „სტროიმატერიალი“-ს ლიკვიდაცია, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მოაწყონ საშენი მასალის ტრესტები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სისტემაში.

8. ამიერკავკასიის საშენებლო შენაერთს („ზაკსტროი“) და ამიერკავკასიის სახელმწიფო საპროექტო კონტორას („ზაკგოსპროექტ“) დაეტოვოს საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის მშენებლობისა და პროექტირების ფუნქციები; წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გადასცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობაში ყველა რესპუბლიკანური საშენებლო და საპროექტო კონტორა. ა/კ. სან.-ტეხნიკ. საშენებლო ტრესტი დატოვებულ იქნეს საამიერკავკასიო მნიშვნელობის ტრესტად.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—მოაწყონ რესპუბლიკანური მომმარაგებელ-გამსაღებელი ტრესტები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სისტემაში.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს— ფედერატიული და საკავშირო ორგანიზაციების მომარაგება აწარმოოს ამერიკავკასიის მომმარაგებელ-გამსაღებელი ტრესტის მეშვეობით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომმარაგებელ-გამსაღებელ ტრესტებთან დადებულ ხელშეკრულებების საფუძველზე, ხოლო მომარაგება და გასაღება ამერიკავკასიის გარეშე ბაზრებზე აწარმოოს ამერიკავკასიის მომმარაგებელ-გამსაღებელი ტრესტის წარმომადგენლობის მეშვეობით.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს— მოაწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ამერიკავკასიის საგეოლოგო-საძიებლო სამმართველოს ბაზისები.

II.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხაზით:

12. წინადადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში რესპუბლიკანური ტრაქტორცენტრები ა/კ. ტრაქტორცენტრის განყოფილებათა უფლებებით.

13. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუალიკებში დატოვებულ იქნეს რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტები, რომელნიც უშუალოდ შევლენ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო შენაერთში.

საბჭოთა ჩაის მეურნეობების მშენებლობა დაეტოვოს „ჩაისტროი"-ს; ტრაქტორცენტრის მშენებლობა წარმოებულ იქნეს რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტების მეშვეობით; სამებამბეო მშენებლობა დაეტოვოს „ხაკლოპსტროი"-ს.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოახდინოს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტის ლიკვიდაცია.

14. მიენდოს ა/კსფრს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში „სოიუზსელხოზსნაბ"-ის ამერიკავკასიის კონტორის რწმუნებულთა ინსტიტუტები;

ბ) ამ კონტორას, მისთვის მინიჭებული ფუნქციების გარდა, დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო საშენი მასალათ, საწარმოო ტანისამოსით და სხვ. მისთ. მომარაგების საქმე;

გ) დაიწერილოს აღნიშნული კონტორის სარაიონთაშორისო საწყობები;

დ) მოაწყოს ყველა საბამბე რაიონში სარაიონო საწყობები.

III.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემის სამრეწველო-სამეურნეო შენაერთების ხაზით:

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს— მოაწყოს „სოიუზტაბაკ"-ის ამერიკავკასიის კონტორა, რომელსაც დაუქვემდებაროს სანედლეულო ბაზისი; აფხაზეთის ავტ. სსრ-ში მოაწყოს „სოიუზტაბაკ"-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოაწყოს „სოიუზტაბაკ"-ის რწმენებულთა ინსტიტუტები. თამბაქოს ფაბრიკები დატოვებულ იქნეს რესპუბლიკანური თამბაქოს ტრესტების შედგენილობაში.

16. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მოახდინოს „ზაკუტილ"-ის ლიკვიდაცია, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა—მოაწყონ სათანადო შენაერთები საუტილო ნედლეულის დამზადებისა, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

IV.

სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით; ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირისა და რესპუბლიკანური კავშირების ფუნქციები:

17. მიენდოს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—გადაკავეთოს ამიერკავკასიის საბითუმო-ცალობითი სადარგო შენაერთები და რესპუბლიკანური საბითუმო და ცალობითი სადარგო შენაერთები რესპუბლიკანური კავშირების სისტემაში; ამიერკავკასიის კავშირს დაეტოვოს სამომხმარებლო სისტემის საერთო ხელმძღვანელობისა, დაგეგმვისა და კონტროლის ფუნქციები.

18. ხელშეკრულებათა დასადებად, აგრეთვე ამიერკავკასიის სამომხმარებლო სისტემისათვის გამოყოფილი საქონლის თავის დროზე მოზიდვის სამეთვალყურეოდ უფლება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირს იყოლიოს მოსკოვში თავისი წარმომადგენლობა, რომელიც დასდებს ხელშეკრულებებს რესპუბლიკანური სამომხმარებლო კავშირების საბითუმო-სადარგო შენაერთების სახელით.

19. დაეკისროს რესპუბლიკანურ სამომხმარებლო კავშირებს პასუხისმგებლობა თვიანთი სადარგო შენაერთებისა და სექციების სამუდამდეო ოპერატიულ-სამეურნეო მუშაობისათვის, როგორც ცენტრიდან ადგილებზე ტვირთის თავის დროზე წარმართვისა, ისე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფონდების სამუდამდეო რეგულირების სფეროში და აგრეთვე დანიშნულებისამებრ მიღწევინების სფეროში.

20. ამიერკავკასიის კავშირს დაეკისროს პასუხისაგებლობა გეგმების შედგენისათვის და ცალკეული რესპუბლიკების ხვედრი სასაქონლო ფონდების წესიერად ხარჯვისა და დანიშნულებისამებრ მიღწევინების კონტროლისათვის.

21. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირს—დაიწესოს თავისი აპარატის შესანახად (აქედან მოსკოვის წარმომადგენლობისაც) საბითუმო სადარგო შენაერთებისა, რესპუბლიკანური სამომხმარებლო კავშირების სექციებისა და სამომხმარებლო საზოგადოებათა სარაიონო კავშირებისა და ბაკის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის ბრუნვის სათანადო ანარიცხები.

22. ლიკვიდირებულ იქნეს ამიერკავკასიის კავშირთან არსებული:

1) ავტონომიური სექცია „ზაკოოპიტ"-ი;

2) საგარეთუბნო მეურნეობათა შენაერთი;

4) პურის ტრესტი „ზაკპრომხლებოპეჩენე";

4) სატყეო სექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ორგანიზაციების ოპერატიული მუშაობა განხორციელებულ იქნეს რესპუბლიკანურ სამომხმარებლო კავშირებთან არსებული სათანადო სექციებისა და შენაერთების მეშვეობით. ამ დარგთა მუშაობის რეგულირებისა და დაგეგმვისათვის ამიერკავკასიის კავშირმა უნდა მოაწყოს თავის აპარატში სათანადო უჯრედები.

V.

უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების ორგანიზაცია.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების კადრების მომზადების სისტემის გაუმჯობესებისა, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა კონტიგენტების ძირითადი ერების ელემენტებით გაძლიერების უზრუნველყოფისა და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტების კადრების ძირითადი ერების ელემენტებით გაძლიერების პირობების შექმნის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რათა უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები ახლო იდგნენ საწარმოო ბაზისზე და რათა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღონ ა/კავშირ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წინაზე მდგარი სამეურნეო ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტაში:

23. ამიერკავკასიის საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტის ქართული სექტორი დატოვებულ იქნეს ტფილისში და მისი სტუდენტები გადაყვანილ იქნენ საქართველოს სსრ სამშენებლო ინსტიტუტში; წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მთავრობას—მოაწყოს ამ ინსტიტუტთან ჰიდროტეხნიკური განყოფილება. ამიერკავკასიის საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტის ქართული სექტორის სტუდენტებს ნება დაერთოთ გადავიდნენ ტფილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში საერთო საფუძველზე.

წინადადება მიეცეს ა/კავშირ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსძებნოს სამი დღის განმავლობაში სახსარი სამშენებლო ინსტიტუტის აღნიშნული განყოფილების გასახსნელად.

24. ამიერკავკასიის საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტი გადაკეთებულ იქნეს რესპუბლიკანურ ინსტიტუტად და ეწოდოს მას განჯის საინჟენერო-სამელიორაციო ინსტიტუტი; დატოვებულ იქნეს იგი ამიერკავკასიის მეგბამბეობის შენაერთის ბიუჯეტზე.

25. ამიერკავკასიის ენერგეტიული ინსტიტუტი გადარქმეულ იქნეს ტფილისის ენერგეტიულ ინსტიტუტად და დატოვებულ იქნეს სსრკ-ის ენერგოცენტრის სისტემაში.

26. ამიერკავკასიის სატყეო-სატეხნიკო ინსტიტუტი გადარქმეულ იქნეს ტფილისის სატყეო-სატეხნიკო ინსტიტუტად—სსრკ-ის ბიუჯეტზე დატოვებით „გლავლესპრომ"-ის სისტემაში.

27. ამერკავკასიის მებამბეობის ინსტიტუტი გადაკეთებულ იქნეს განჯის მებამბეობის ინსტიტუტად—ამერკავკასიის მებამბეობის შენაერთის ბიუჯეტზე დატოვებით.

28. ამერკავკასიის სამთო-სამეტალურგ"-ო ინსტიტუტი დატოვებულ იქნეს არსებულ მდგომარეობაში.

29. ამერკავკასიის საქიმიო-სატეხნიკო ინსტიტუტი გადაკეთებულ იქნეს ტფილისის საქიმიო-სატეხნოლოგიო ინსტიტუტად—1932 წ. იანვრის 1-დან საქართველოს სსრ ბიუჯეტში შეტანით.

30. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისაროა საბჭოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე ღონისძიებათა პროექტი აზერბაიჯანის სსრ საქიმიო მრეწველობისათვის კადრების მომზადების შესახებ.

31. მოეწყოს ამერკავკასიის საეტერინარო და ამერკავკასიის ზოოტეხნიკური ინსტიტუტების ბაზისზე—ერევანის საეტერინარო-ზოოტეხნიკური ინსტიტუტი—1932 წლის იანვრის 1-დან სომხეთის სსრ ბიუჯეტში შეტანით.

32. მოეწყოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის ფაკულტეტის ბაზისზე საქართველოს სსრ ზოოტეხნიკური ინსტიტუტი.

33. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მოაწყოს აზერბაიჯანის სსრ საეტერინარო-ზოოტეხნიკური ინსტიტუტი—რესპუბლიკანურ ბიჯეტში შეტანით და მისი ორგანიზაციისათვის სახსრის გამოძებნით.

34. მცენარეთა დაცის სამხრეთი ინსტიტუტი დატოვებულ იქნეს—ოთხ ენაზე სწავლებით.

35. სრულიად საკავშირო სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტიდან გამოყოფილი ახალი ხრალეული კულტურების. ინსტიტუტი უზრუნველყოფილ იქნეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ბიუჯეტით და გადაირქვას ახალი ხრალეული კულტურების ტფილისის ინსტიტუტად.

36. ამერკავკასიის საფეიქრო ინსტიტუტი დატოვებულ იქნეს განჯაში—ა/კსფსრ ბიუჯეტზე დატოვებით და გადაირქვას განჯის საფეიქრო ინსტიტუტად.

37. ამერკავკასიის პირველი კომუნისტური უნივერსიტეტი დატოვებულ იქნეს ტფილისში. ამერკავკასიის მეორე კომუნისტური უნივერსიტეტი აზერბაიჯანში გადარქმეულ იქნეს აზერბაიჯანის კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლად—თურქული, სომხური და რუსული სექტორებით.

მოეწყოს კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში.

38. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ. მომარაგების სახალხო კომისარიატს—კუთვნილებისამებრ—მოაწყონ სალიკვიდაციო კომისიები—მათ შედგენილობაში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით—სალიკვიდაციო ორგანიზაციების ქონების გასანაწილებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1932 წ. იანვრის 1-ის ბალანსით და ფაქტიური გადაცემის დღის ანგარიშში მიღებით. ამ კომისიების მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 1-სა.

კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილება „სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის გადასაცემი ქონებისათვის ანგარიშგასწორების წესის შესახებ".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. დეკემბრის 11.
№ 428.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 334 №-ში 2931 წ. დეკემბრის 15-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

252. „შეშა-ხეტყის დამზადების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 21-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის ამხ. ვარძიელის მოხსენება და ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტის დირექტორის მოადგილის ამხ. პოჩტარიოვის თანამოხსენება—„შეშა-ხეტყის დამზადების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ:

ა) ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა, ა/კ. სატყეო სარაიონო სამმართველომ, კურორტების სამმართველომ, სარეწაო კავშირმა და სხვ. მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს შეშა-ხეტყის დამზადების გეგმა: გასული სამი კვარტალის გეგმა ხეტყის მასალისა შესრულებულია 24,3%-ით და შეშისა—18,7-%-ით; ოქტომბრისა და ნოემბრის ორი დეკადის გეგმა შესრულებულია: ხეტყის მასალისა—6,5%-ით და შეშისა—9,4%-ით; ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შეშა-ხეტყის გამოზიდვის გეგმის შესრულება;

ბ) სარაიონო ორგანიზაციები ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ დაუახლოვდნენ შეშა-ხეტყის დამზადების საქმეს; მათ ვერ გაშალეს მასსური მუშაობა სატყეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო მეურნეობებში და ვერ უზრუნველჰყვეს სათანადო ხელმძღვანელობა შეშა-ხეტყის დამზადების სუსტი მხარეების დაძლევის საქმეში: კერძოდ—მუშაძალისა და საჭაპანნიდგო ტრანსპორტის მოგოოვებისა, მუშებისათვის სპეცტანსამოსისა, სამრეწველო საქონლისა და სასურსათო ფონდების მიწოდების საქმეში (განსაკუთრებით წალენჯიხის, ცაგერის, ლაგოდეხის, გურჯაანის, თაუხის, ხობის და ხულოს რაიონებში);

გ) ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა და ადგილობრივმა საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა არ იხმარეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა ფართო პოპულიარიზაცია გაეწიათ კოლმეურნეთა შორის შეშა-ხეტყის დამზადების უადრესი მნიშვნელობის შესახებ, რის შედეგიც ის გარამოებაა, რომ მთელმა რიგმა კოლექტიურმა მეურნეობებმა არ შეასრულეს მუშა-ძალის გამოყენის ხელშეკრულებანი, თუმცა აევანსები წინასწარ მიღებული ჰქონდათ; ხოლო შეშა-ხეტყის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა მთელ რიგ რაიონებში არ გაშალეს მასსაო მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებისათვის და ხელშეკრულებები დასდეს უშუალოდ სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებთან, ოამაც ჩამოაშორა კოლექტიური მეურნეობები შეშა-ხეტყის დამზადების საქმეს და გამოიწვია ხელშეკრულებების შეუსრულებლობა;

დ) ამიერკავკასიის სატყეო კოოპერაციამ, სატყეო-სამრეწველო მეურნეობებმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არ შეასრულეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აღსრულების შემმოწმებელი კომისიის დადგენილება ადგილებზე საზოგადოებრივი კვების და მუშათა კოოპერატივების ქსელის გაშლის შესახებ;

ე) ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციამ არ შეასრულა შეშა-ხეტყის დასაკვირთავად ვაგონების მიყენების გეგმა: 80 ვაგონისა—შეშის გადასაზიდად და 65 ვაგონი—ხეტყის მასალისათვის (საშუალოდ დღედალამეში ვაგონების მიყენება არ აღემატება 40—45 ვაგონს).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაეკალოს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს, ა/კ. სატყეო სარაიონო სამმართველოს, საკურორტო სამმართველოს და სარეწაო კავშირს—მოხერხონ გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა მე-4 კვარტალის გეგმის ხლრულების საქმეში.

2. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნო ცენტრებმა მუშა ძალის მოგროვების რაიონებში უნდა გაშალონ ფართო მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა შორის გარე-სამუშაოზე გასულთა შეღავათების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსნა-განმარტებისათვის, აწარმოონ მკვეთრი ბრძოლა ადმინისტრირების ელემენტებთან და იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი კოლექტიური მეურნეობების იმ გამგეობათა წინააღმდეგ, რომელნიც კულაკური აგიტაციის გავლენით ეწინააღმდეგებიან გარე-სამუშაოზე გასვლას.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ მოახდინოს შეშა ხეტყის დამზადებათა საქიროებისათვის ჯერ კიდევ გაუგზავნელი კომერციული მანუფაქტურის ფონდების რეალიზაცია 70.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან. რაოდენობით; აგრეთვე ხუთის დღის ვადაზე უზრუნველჰყოს შეშა-ხეტყის დამზადებელი მუშების და მოსამსახურეებისადმი სამრეწველო საქონლის დაკალინების დაფარვა 200.000 მან. რაოდენობით მე-4 კვარტალის ანგარიშში შემოსაზიდი ფონდებიდან.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის სატყეო სექციას (ამხ. ტაბიძეს) შეამოწმოს საქონლის გაგზავნა მუშათა სატყეო კოოპერაციისათვის და აგრეთვე ტვირთის მოსვლა და წინ წაწევა ამ ტვირთვის მსვლელობის ხაზით; გამოარკვიოს მომარაგების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებისაგან მე-4 კვარტალის ანგარიშში მიღებული სასურსათო ფონდების ზედმიწევნითი რაოდენობა და ამ ფონდების რეალური გაგზავნა.

5. წინადადება მიეცეს „სოიუზხლგ“-ს, ა/კ. სატყეო კოოპერაციასთან ერთად, უზრუნველჰყოს დასავლეთი საქართველოს და აფხაზეთის შეშა-ხეტყის დამზადების რაიონებში, ფქვილის ნაცვლად, სიმინდის შეზიდვა და ნებადართოს ადგილობრივ სიმინდზე ფქვილის გაცვლა.

6. დაეკალოს „სოიუზპრომკორმ“-ს (ამხ. ქუთათელაძეს) ერთი დეკადის ვადაზე გაგზავნის ხეტყის დამზადების რაიონებისათვის 1.000 ტონნა მოცულობითი ფურაჟი ყარაიადან, ხოლო ბაკოდან—150 ტონნა ქატო.

წინადადება მიეცეს შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს, ა/კ. რკინის გზების დირექციასთან ერთად, უზრუნველჰყოს ამ ტვირთისათვის საჭირო რაოდენობის ვაგონების მიყენება.

7. წინადადება მიეკეს ა/კ. რკინის გზების დირექციას, ამხ. სინვივის პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყოს შეშისა და ხეტყის მასალის დასატვირთად ვაგონების მიყენების გეგმის ნორმალური და დაუცდებელი აღსრულება და, ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტთან და ა/კ. სატყეო სამომხმარებლო-საგამსაღებლო ტრესტთან შეთანხმებათა, შეიმუშაოს 5 დღის ვადაზე კონკრეტული ღონისძიებანი გზის სარბენლებიდან (ბალადიდი, ქვალონი და სხვ.) შეშის გამოზიდვისათვის.

8. დაეკალოს პროკურატურას და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს პასუხისგებაში აძღიონ სისხლის სამართლის წესით ისინი, ვინკ გაადიდებს ხეტყის გამოზიდვის ფასს სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით და აგრეთვე ისინი, ვინც დაარღვევს საქონლით მომარაგების ნორმებს.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კ. ტყე-ქაღლდის ტრესტს—გადასინჯონ უმოკლეს ხანში ხეტყისა და შეშის თვითდამზადებელთა სია იმ ხაზით, რომ დამზადებაზე მიშვებულ იქნენ მხოლოდ ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიანთ დამოუკიდებლად უზრუნველჰყონ დამზადებანი მუშა-ძალით, სახსარით, ჰაპანზიდვის ტრანსპორტით და სხვ.

10. ქალ ტფილისისა, ბაქოს და ერივნის შეშით მომარაგების გასაძლიერებლად:

ა) მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ რწმუნებულთან ერთად, შეამოწმოს ორი დღის ვადაზე ქალ. ტფილისის შეშით მომარაგების ორგანიზაციის გეგმების აღსრულება და მიიღოს ღონისძიებანი შეშისადმი ქალ. ტფილისის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის;

ბ) წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას—დაამთავროს უმოკლეს ვადაზე ურეკის ასაქცევზე ჩიხის აშენება და დაუყოვნებლივ დაიწყოს ვაგონების მიყენება მარშრუტობით, დეკემბრის ეგეგმის ანგარიშში, ამ ხოლიდან ტფილისის სადგურზე შეშის გადაზიდვისათვის.

გ) დაეკალოს ყველა ხეტყის დამზადებელ ორგანიზაციას, კერძოდ—ქუთაისის და ხარაგოულის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, შეშის ჩაბარება აწარმოონ მარტოოდენ სატყეო სამომხმარებლო-საგამსაღებლო ტრესტის განწესებით და არ გადასცენ ხოლმე ეს შეშა სხვა ორგანიზაციებს გეგმის გარეშე;

დ) დაეკალოს კასპიის ნაოსნობის სამმართველოს—უზრუნველჰყოს დეკემბრის განმავლობაში მთლად იმ შეშის გადაზიდვა ბაქოს მოსამარაგებლად, რაც ლენქორანის რაიონშია;

ე) წინადადება მიეცეს სატყეო სამომხმარებლო-საგამსაღებლო ტრესტს—დაუყოვნებლივ იხმაროს ღონისძიებანი, რათა თაუზის სატყეო-სამრეწველო მეურნეობიდან გადაიგზავნოს ქ. ბაქოში 43 ვაგონი შეშა და აგრეთვე სადგურ აქსტაფიდან გადაიგზავნოს 60 ვაგონი შეშა ქ. ერივანის მოსამარაგებლად;

ვ) წინადადება მიეცეს განსაკუთრებულ «რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, გადასინჯოს სამი დღის ვადაზე დეკემბერში ხეტყისა და შეშის გადმოსაზიდად საჭირო ვაგონების განაწილების გეგმა—ტფილისისა, ბაქოს და ერივნის შეშით მომარაგების გაძლიერებისათვის საჭიროების შესაბამისად.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 2.
31.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

253. **„მასლოტრესტი"-სა, ,,სვინოვოდ''-ისა და ,,ოვცევოდ''-ის საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ზამთრის პერიოდში საქონლის სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ.**

მოისმინეს-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის ამხ. პოტერიახინის მოხსენება და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ტრესტის დირექტორის ამხ. პრეობრაჟენსკისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. მამალაძისა, „სვინოვოდ"-ის დირექტორის ამხ. ბესელიას და „ოვცევოდ"-ის ტრესტის წარმომადგენლის ამხ. ფირუმოვის განმარტებანი—საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ზამთრის პერიოდში საქონლისათვის სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია:

ა) აღნიშნავს, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივა—ნოემბრის 15-თვის საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების მშენებლობის დამთავრების შესახებ—შესრულებული არ არის, „სოიუზლესპრომ"-ის მიერ ცენტრალიზებული ფონდების ხეტყის მასალის შემოზიდვის გეგმის ჩაშლის გამო (საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისათვის ხეტყის შემოზიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 9%-ით) და აგრეთვე იმის გამო უფრო, რომ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში ძალიან ნაკლებად არის გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალა და სათანადოდ შეფასებული როდია მეცხოველეობის ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მიერ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მნიშვნელობა;

ამის შედეგია, რომ მშენებლობის გეგმა ნოემბრის 15-თვის შესრულებულია „მასლოტრესტ"-ის საბჭოთა მეურნეობებში 26%-ით, „სვინოვოდ"-ის ტრესტის მეურნეობებში 33,2%-ით, ხოლო „ოვცევოდ"-ის მეურნეობების შესახებ ცნობები მოცემული არ არის;

ბ) აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა (პერსონალურად—ამხ. ბუკრეევმა) არ შეასრულა აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მინდობილობა—ა/კ. სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტის მუშების სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების საკითხების მოწესრიგების შესახებ;

გ) აღნიშნავს აგრეთვე, რომ ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა (პერსონალურად—ამხ. პისკუნოვმა) არ შეასრულა აღსრულების შემმოწმებელი კომისიის დადგენილება—ფოთის აგარაკიდან ტყესაკაფის მიჩენის შესახებ და ორთვენახევრის განმავლობაში დააყოვნა ამ საკითხის გადაწყვეტა;

რომ აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებმა არაუზრუნველჰყვეს მშენებლობის გარღვეულობის ლიკვიდაციისათვის

ორთვიურის ჩატარება და პასუხისმგებელ მომუშავეთა საჭირო რიცხვის მომზადება მოელი ამ დროის განმავლობაში; აგრეთვე საროიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა ადგილებზე არ მოახდინეს მშენებლობისათვის მთლად ხელთქონებული რესსურსებისა და ხელთმყოფი ძალების მობილიზაცია;

რომ ა/კ. სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტმა (ამხ. პრეობრაჟენსკის სახით) არ იხმარა მტკიცე ლონისძიება საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გარღვეულობის ლიკვიდაციისათვის და მშენებლობის მსვლელობის, საშენი მასალის მოძრაობის და მუშა-ძალის მოგროვების მდგომარეობის ზედმიწევნითი აღნუსხვის ორგანიზაციისათვის.

საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების მშენებლობის გარღვეულობის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. პერსონალური პასუხისმგებლობა საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების მშენებლობისათვის დაეკისროს ამხ. ვეზჩიროვს.

2. გამოყენებულ იქნეს მასსური მასშტაბით საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების მშენებლობაში ადგილობრივი საშენი მასალა, კერძოდ ქოხური ტიპის საღორეებისათვის.

3. დაევალოს ა/კ. რკინის გზების დირექტორს ამხ. სინევს—უზრუნველჰყოს სარიგგარეშეო წესით ადგილობრივი საშენი მასალის—ლერწმისა, აგურისა და სხვ. მისთ. წარგზავნა რკინის გზით.

4. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—განიხილონ რესპუბლიკებში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მდგომარეობა და იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ზამთარში საქონლისათვის საფარის უზრუნველსაყოფად.

5. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიძიოს მშენებლობისათვის გადადებული კრედიტების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვა და შედეგი აცნობოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას.

6. დაევალოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—დაიმუშაოს და გადასწყვიტოს საკითხი 5 დღის ვადაზე მშენებლობისათვის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და სამუშაოების მწარმოებლების პასუხისმგებლობისა და მათი ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.

7. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის 1931 წ. ივლისის 9-ის დადგენილების შეუსრულებლობისათვის ა/კ. ტყე-ქაღ. ტრ. თავ რეს ამხ. პისკუნოვს გამოეცხადოს საყვედური.

8. მუშა-ძალის მოგროვების მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ა/კ. სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტში მოიხსნას სამუშაოდან პასუხისმგებელი აღმასრულებელი ამხ. რუსტამოვი.

9. მშენებლობის თაობაზე ცნობების სისტემატიური წარმოუდგენლობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური—გაფრთხილებით—ბაზარჩაის საბჭოთა მეურნეობის სამუშაოების მწარმოებელს ამხ. სერებრიაკოვს და ლორის საბჭოთა მეურნეობის სამუშაოების მწარმოებელს ამხ. სამონენკოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მოიხსნას სამუშაოდან ლისოგორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მახონკო საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისათვის დანიშნული სახსარის დახარჯვისა და ტრესტის ხელმძღვანელობის უგულველობის გამო.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 2.

№ 32.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

254. მაგარი და კონცენტრირებული საკვებით „მასლოტრესტ"-ისა, „სვინოვოდ"-ისა და „ოვცევოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის ამხ. პოტერიახინის ცნობა „მასლოტრესტ"-ისა, „ოვცევოდ"-ისა და „სვინოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის შესახებ და ა/კსფსრ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. მამალაძისა, „ოვცევოდტრესტ"-ის წარმომადგენელის ამხ. ფირუმოვისა და „სვინოვოდტრესტ"-ის წარმომადგენელის ამხ. ბესელიას განმარტებანი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

ა) რომ საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ხელმძღვანელნი—„სკოტოვოდ"-ის ყოფილი რწმუნებულის ამხ. რუდაკოვისა და „სვინოვოდ"-ის ყოფილი დირექტორის ამხ. იორამაშვილის სახით—ფორმალურად მოეპყრნენ ზამთრის პერიოდში საბჭოთა მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას და არ შეასრულეს აღსრულების შემმოწმებელი კომისიის ა/წ. სექტემბრის 24-ის დადგენილება—ნოემბრის 15-თვის საბჭოთა მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის შესახებ, აგრეთვე ზეზეურად მოექცნენ ტრესტების საკვებთა ბალანსის შედგენის საქმეს („მასლოტრესტ"-მა არ შეიტანა ბალანსში 2.915 ტონნა დასილოსებული საკვები და 705 ტონნა ძირკვნარი, ხოლო „სვინოვოდტრესტ"-ს აქამდე საკვები ბალანსი არ აქვს);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რომ აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში 1931 წ. სექტემბრის 24-ს საკითხის განხილვის დროს „სკოტოვოდ"-ის წარმომადგენლის ამხ. დალინის მიერ მოცემულ იქნა არა სწორი ინფორმაცია „სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ და რომ ტრესტის სუსტი ხელმძღვანელობის გამო საბჭოთა მეურნეობებმა გაანიავეს საკვები რესურსები, რამაც გამოიწვია 100.000 ცენტნერი მაგარი საკვების დეფიციტი (აღბაბის საბჭოთა მეურნეობების დირექტორმა ამხ. მუხთაროვმა 300 ჰექტარი სათიბი, როგორც არასაჭირო, სხვას მიჰყიდა და თითონ 20.000 ცენტნერი დეფიციტით დარჩა; ინანიქის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ვართანიანმა 13.000 ცენტნერი სათიბი თოვლის ქვეშ დასტოვა; უმეტეს ნაწილ საბჭოთა მეურნეობებში თივას საქონელს ქვეშ უშლიან ნორმის გარეშე და სხვა მისთ.);

გ) რომ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „ზაკმასლოტრესტ"-მა საკვებთა ბალანსი და კერძოდ—კონცენტრირებული საკვების საპირობა და ნორმები გადაამეტეს და საქონლის კვების დაწყების პერიოდად განსაზღვრეს სექტემბერი, მაშინ, როდესაც „სოიუზპრომკორმ"-ს განცხადება კონცენტრირებული საკვების შესახებ წარუდგენს ა/წ. ნოემბრის 9-ს.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიათ საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ყოველდ შეუწყნარებლად მიაჩნია ზემოაღნიშნული მოპყრობა „ზაკმასლოტრესტ"-ისა და „სვინოვოდ"-ის კონტორების მმართველთა მხრით ზამორის პერიოდში საქონლის საკვებით უზრუნველყოფის საკითხისადმი და იგი ადგენს:

1) დაეკალოს „სვინოვოდ"-ის კონტორის მმართველს ამხ. ბესელიას დაამთავროს ყველა საბჭოთა მეურნეობის საკვებთა ბალანსის დამუშავება და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. დეკემბრის 10-თვის. წინადადება მიეცეს ამხ. ბესელიას—დაადგას გადასახდელი იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომელთაც არ წარმოადგინეს თავის დროზე საკვებთა ბალანსები, და გამოაქვეყნოს ეს პრესსაში.

2) წინადადება მიეცეს „ზაკმასლოტრესტ"-ის კონტორის მმართველს ამხ. პაპშევს—გადასინჯოს დეკემბრის 10-თვის ყველა საბჭოთა მეურნეობის საკვებთა ბალანსი, გააზუსტოს იგი და შეიტანოს ანგარიშში ხელთქონებული სასილოსე საკვები და ძირკვნარები.

3) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიას—გადასინჯოს დეკემბრის 12-თვის საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ყველა სისტემის საკვებთა ბალანსები და გამოარკვიოს მაგარი კონცენტრირებული საკვებისა და ქვეშსაშლელის საპირობა საქონლის ნამდვილად ახურზე ყოფნის პერიოდის ვარაუდის მიხედვით.

4) მოიხსნას სამუშაოდან აღბაბის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მუხთაროვი.

5) მიენდოს ამხ. ვეზჩიროვს—უშუალოდ თითონ მან დაადგას გადასახდელი ყველა იმ პირს, როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ისე ტრესტების აპარატში, ვინც არ შეასრულა აღსრულების შემმოწმებელი კომისიის ა/წ.

სექტემბრის 24-ის დადგენილება საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების საკვებთა ბაზისის შესახებ და გამოაქვეყნოს ეს ხუთი დღის ვადაზე პრესსაში, თანაც აცნობოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 2.
№ 33.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 327 №-ი 1931 წ. დეკემბრის 6-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

255. „ა/კსფსრ-ში შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამმზადებელი ამიერკავკასიის კომისიის წარმომადგენლის ამხ. მარკმანის მოხსენება და „მეტალლომ"-ის საქართველოს და სომხეთის კონტორების წარმომადგენლის ამხ. აბოვიანისა და „მეტალლომ"-ის აზერბაიჯანის კონტორის წარმომადგენლის ამხ. პონომორევის ცნობა—1931 წელს შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ხელმეორედ აღინიშნოს ნატეხ ლითონთა დამმზადებელი ამიერკავკასიის კომისიის მუშაობის სისუსტე.

2. აღინიშნოს, რომ 1931 წლის მეორე ნახევარწელს ა/კსფსრ-ში შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების გეგმის შესრულების საქმეში ტფილისისა და ბაქოს კონტორებს ეტყობათ გარკვეული გარდატეხა საგეგმო დავალებათა შესრულების მხრით.

3. აღინიშნოს, რომ ნატეხ ლითონთა დამმზადებელ კომისიას არ მოეპოვება ზედმიწევნითი ცნობები იმის შესახებ, თუ ამიერკავკასიის რკინის გზებზე რა რაოდენობის ნატეხი ლითონია და ამის გამო აღნიშნული გზების დირექციას მიეცა გარდამეტებული ლიმიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების დირექტორს, საკავშირო საავტომობილო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას, ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ტფილისის ტრამვაის დირექტორს, ტფილისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს, რომელთაც არ შეასრულეს შავი და ფერადი ნატეხი ლითონების ჩაბარების ლიმიტები, ჩააბარონ ერთი დეკადის ვადაზე „მეტალლომ“-ის კონტორას მთლად ის ლითონი, რაც მათ ხელთაა.

„მეტალლომ“-ის ტრესტმა, ამ ვადის გასვლისას, აცნობოს ა/კსფსრ პროკურორს იმ ორგანიზაციების სია, რომელთაც ნატეხი ლითონი არ ჩაბარეს, მათ პასუხისგებაში მისაცემად.

5. დაეკალოს „მეტალლომ“-ის ტრესტს, შავი ქვის ტრესტის დირექციასთან ერთად, საბოლოოდ განსაზღვროს ერთი დეკადის ვადაზე შავი ქვის ტრესტის მიერ ჩასაბარებელი ნატეხი ლითონის ლიმიტი.

6. მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, პერსონალურად ამხ. გროდისს—შეამოწმოს ნატეხი ლითონის დასატვირთავად და გამოსახიდად ვაგონების მიყენების საქმის მსვლელობა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 2.

№ 34.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 327 №-ში 1931 წ. დეკემბრის 6-ს.

შეცდომის გასწორება.

ა/კსფსრ კანონთა კრებულის 1931 წ. მე-20 №-ში გამოტოვებულ უნდა იქნეს 235 მუხლი, როგორც შეცდომით მეორეჯერ დაბეჭდილი (დაბეჭდილია მე-19 №-ში 224 მუხლად).

მთავლიტი 312. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.